29 ნოემბერს ჩატარდება მათემატიკის ოლიმპიადის I უფასო ტური
აუცილებლად გელოდებით!

მათემატიკის ოლიმპიადა

მე-9 კლასი (I ტური, შემოდგომა, 2025)

ძირითადი დავალებები (თითოეული სავარჯიშო 5-ქულიანია):

1) დადებითია თუ უარყოფითი მოცემული გამოსახულება? $0{,}5^2-0{,}8^2=$

A) დადებითი B) უარყოფითი C) ვერ დავადგენთ

2) ამოხსენით უტოლობა $|x|<5$

A) $x\in(-5;5)$ B) $x\in[-5;5]$ C) $x\in(-\infty;\infty)$

3) თუ წილადს 5/11 გადავაქცევთ ათწილადად, რომელი ციფრია მძიმიდან მე-100 ადგილზე ?

A) 4 B) 5 C) ამის გაგება შეუძლებელია

4) რამდენი გამყოფი აქვს 1000-ს?

A) 10 B) 16 C) ამის გაგება შეუძლებელია

5) შეკითხვა ალტასგან: 6 წიგნის თაროზე დალაგების რამდენი ვარიანტი არსებობს?

A) 720 B) 120 C) ამის გაგება შეუძლებელია

6) თუ 2 სამკუთხედს სამივე გვერდი ტოლი აქვს, აქდან რა დასკვნის გამოტანა შეიძლება?

A) ეს სამკუთხედები ტოლია B) ეს სამკუთხედები მართკუთხაა
C) ეს სამკუთხედები ბლაგვკუთხაა

7) ანამ შეიტანა თანხა ანაბარზე. მას ყოველ წელს ემატება არსებული თანხის 20%. რამდენი %-ით იქნება გაზრდილი ანას თანხა 2 წლის შემდეგ?

A) 40% B) 20% C) 44%

8) მაქსიმუმ რამდენ ნაწილად შეიძლება დაყოს სიბრტყე 5-მა წრფემ?

A) 32 B) 16 C) 15

9) რამდენკუთხა მრავალკუთხედში არის ტოლი დიაგონალების რაოდენობა გვერდების რაოდენობის?

A) 5 B) 6 C) ასეთი მრავალკუთხედი არ არსებობს

10) შეარჩიე პასუხი: $(a^2)^5=$

A) a^{25} B) a^{32} C) a^{10}

100 ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 3 ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

<u>ბონუს ბლოკი Tether -ისგან</u>

1. USD₮ ციფრული ფულია. 1USD₮ ყოველთვის 1$-ია.
ნინოს სურს ინტერნეტ მაღაზიიდან გამოიწეროს ნივთი, რომელიც 40 USD₮ ღირს. ამჟამად საიტზე ციფრული ფულით გადახდის მეთოდებზე 20%-იანი ფასდაკლებაა. რამდენი USD₮-ის გადახდა მოუწევს ნინოს ფასდაკლების შემდეგ?
A) 32 USD₮ B) 8 USD₮ C) 38 USD₮

2. ორმა მეგობარმა გადაწყვიტა ციფრული ვალუტის შეგროვება. მათ შეთანხმების მიხედვით თანხა უნდა შეეგროვებინათ პროპორციით 2:3. თუ პირველმა მეგობარმა შეიტანა 20 USD₮, რამდენი უნდა შეიტანოს მეორემ?
A) 20 USD₮ B) 30 USD₮ C) 60 USD₮

3. გიორგიმ ბანკომატიდან გაანაღდა 100 ლარი, რაშიც ბანკმა საკომისიო ჩამოაჭრა თანხის 4%. გიორგიმ იმავე ღირებულების (100 ლარის) USD₮ გადაურიცხა მეგობარს და გადაიხადა 1 USD₮- ის ტოლი საკომისიო . რომელი ტრანზაქცია უფრო იაფი დაჯდა პროცენტულად, თუ გავითვალისწინებთ რომ 1 USD₮ დაახლოებით 2.7 ლარია?
A) ბანკომატით განაღდება უფრო იაფი იყო
B) USD₮-ის გადარიცხვა უფრო იაფი იყო
C) ორივე ზუსტად ტოლია

4.

5. „ლოკო მოკოს“ ქარხანაში თანამედროვე დანადგარი წუთში 50 ბოთლს ავსებს. თუ დანადგარი შეუჩერებლად იმუშავებს, რამდენი ბოთლი „ლოკო მოკო“ დამზადდება 4 საათში?

A. 12,000 B. 3,000 C. 1200